კლინიკა „კურაციო“ COVID-19 გავრცელების თავიდან ასაცილებლად დამატებით პრევენციულ ღონისძიებებს ატარებს

Covid-19-ის გავრცელების პრევენციის მიზნით, კლინიკა „კურაციო“ დამატებით ღონისძიებებს ატარებს. ვიზიტორების ჯანმრთელობის მაქსიმალური უსაფრთხოებისთვის კლინიკამ პაციენტების ნაკადების მართვის ახალი სქემას ნერგავს და სხვადასხვა ღონისძიებებს რეგულარულად ახორციელებს.

კლინიკის ყველა თანამშრომელმა გაიარა გადამზადება და შესაბამისი ეკიპირებით აღიჭურვა. დღეში რამდენიმეჯერ სპეციალური ხსნარებით მუშავდება ზედაპირები, ლიფტები და სხვა საერთო მოხმარების სივრცეები.

ვირუსული ინფექციების გავრცელების თავიდან ასაცილებლად დაინერგა პაციენტების ნაკადების მართვის ახალი სქემა. შესასვლელშივე ხდება მონიტორინგი, რომ რესპირატორული ვირუსების სიმპტომებიანი პაციენტები გადამისამართდნენ მათთვის სპეციალურად გამოყოფილ ზონაში და ნაკლები შეხება ჰქონდეთ სხვა ჩივილების მქონე ვიზიტორებთან.

მეი ჭანტურია, კლინიკა კურაციოს გენერალური დირექტორი: *„ჩვენ ზედმიწევნით ვიცავთ დაავადებათა კონტროლის ცენტრის ოფიციალურ რეკომენდაციებს და სრულად ვართ მობილიზებული, რომ ჩვენს კლინიკაში მოსულმა პაციენტმა მომსახურება სრულად უსაფრთხოდ მიიღოს.*

თუმცა გვესმის, რომ ამ პერიოდში პაციენტებმა შესაძლოა ამჯობინონ, დისტანციურად მიიღონ სამედიცინო სერვისები. ამიტომაც, გამოვყავით დამატებითი რესურსი პირადი ექიმების სამუშაო საათებში და პაციენტები თავისუფლად შეძლებენ მიიღონ სატელეფონო კონსულტაცია.“

ექიმთან სატელეფონო კონსულტაციაზე ჩაწერა შესაძლებელია ვებ გვერდის www.mygpi.ge, აპლიკაციის MyGpih და ასევე ცხელი ხაზის: 2430101 საშუალებით.

კლინიკა „კურაციო“ ჩვეული განრიგით აგრძელებს მუშაობას კვირაში 7 დღე საღამოს 20:00 საათამდე. საპრევენციო ღონისძიებების გამო დროებით ფუნქციონირებს მხოლოდ ერთი, ლორთქიფანიძის #31-დან შესასვლელი, ხოლო ლიფტით შესასვლელი უნივერსიტეტის ქუჩიდან გაუქმებულია.